თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

15.04.2024

N 1685

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ი. ჩიდრაშვილს

საქართველოს რკინიგზა
1872-დან

სს „საქართველოს რკინიგზა"-ში შემოსულია თქვენი 2024 წლის 25 იანვრის #6/3726 და 12 მარტის #6/13785 წერილები, რომლებიც ეხება ქ. ქარელში, ყაზბეგის 15-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი 68.10.42.019) პრივატიზების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ უძრავი ქონებისა და რკინიგზის ინფრასტრუქტურის ურთიერთგანლაგებიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების 2.07.01-89 „ქალაქთმშენებლობა"-ს 3.8 და 6.8 და ОСН 3.02.01-97 „რკინიგზის გასხვისების ზოლის პროექტირების ნორმების და წესების" 2.2.3.4 პუნქტების მოთხოვნები. უძრავ ქონებაზე ასევე ვრცელდება ნავთობპროდუქტების საწყობების სამშენებლო ნორმების და წესების СНиП II-106-79, 12.8 პუნქტის ცხრილი 13-ის, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების НПБ 111-98 ცხრილი 1-ის მიერ დადგენილი პირობები (შეზღუდვები). მიწის ნაკვეთზე გავრცელებული სხვა პირობები (შეზღუდვები) დამოკიდებულია ტერიტორიაზე განხორციელებული საქმიანობის სახეობაზე და რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობებით, ნორმატიული დოკუმენტებით, სამშენებლო-ტექნიკური ნორმებითა და წესებით, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნებით.

ამას გარდა, დაცული უნდა იყოს საგაბარიტო ზომები, კერძოდ განაპირა ლიანდაგის ღერძიდან 11 მეტრის მანძილზე დაუშვებელია შენობა-ნაგებობების მშენებლობა.

ზემოთ მითითებული პირობების დაცვის შემთხვევაში, სს „საქართველოს რკინიგზა" არ არის წინააღმდეგი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, 68.10.42.019 საკ. კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების პრივატიზების.

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი
ნინო ჯორბენაძე